საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N 29

ქ. თბილისი 25.07.2018

სხდომას ესწრებოდნენ:
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (სხდომის თავმჯდომარე);
ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი)
თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;
გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;
გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფეროსი;
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;
ოლია ვოტ - შპს „პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფ - PMCG-ის ხარისხის მართვისა და შიდა ინტეგრაციის მენეჯერი.

სსიპ - **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:**

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები :

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

თეიმურაზ ქორიძე - უნივერსიტეტის რექტორი;
თამარ ტუფინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეიმურაზ სართანია - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
კონსტანტინე აბულაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნოდარ გრძელიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
მანანა ალადაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
თეა ლორთქიფანიძე - პროგრამის ხელმზღვანელი.

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე) - უნივერსიტეტის რექტორი;
ნატო ასათიანი - ადმინისტრაციის კოორდინატორი;
გრიგოლ სულაბერიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ქავთარია - სადოქტორო პროგრამის ხელმზღვანელი, უნივერსიტეტის პროფესორი;
ელენე კავლელიშვილი - პროგრამაში ჩართული უნივერსიტეტის პროფესორი;
ლაშა ჩეკურიშვილი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის კურატორი, დამსაქმებლის წარმომადგენელი;
ნინელი მელქაძე - ბიბლიოთეკის კურატორი.

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

კახაბერ კორძაია - რექტორი;
ნინო ჩუბინიძე - კანცლერის მოადგილე;
მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თეა ლაზარაშვილი - ფინანსების პროგრამის ხელმძღვანელი;
ირმა მახარაშვილი - ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;
ირაკლი წივწივაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

თამარ ჩხეიძე
მარიკა გარსევანიშვილი
ეკა ლეკაშვილი
დავით ცირამუა
გოჩა თუთბერიძე
რუსუდან სეთურიძე
ირაკლი გაბრიაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:45 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა.
2. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.
წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ტურიზმის ბაკალავრი 1120
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა რომ პროგრამა იყო ახალი, ის შინაარსობრივად განსხვავდებოდა დაწესებულებაში მოქმედი ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისაგან, რომელიც ანიჭებდა ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციას, ხოლო ახალი პროგრამა ორიენტირებული იყო მიმართულებათშორისი კვალიფიკაციის მინიჭებაზე. განსახილველი საბაკალავრო პროგრამა მოიცავდა 240 კრედიტს, საიდანაც 180 კრედიტი გათვალისწინებული იყო სავალდებულო კომპონენტებისათვის, 50 კრედიტი კი გადანაწილებული იყო თავისუფალ კრედიტებზე. 20 კრედიტი ეთმობოდა უცხო ენას, სადაც ხდებოდა ორი უცხო ენის შეთავაზება. კვლევისა და ჩატარებული გამოკითხვების შედეგად დადგინდა რომ ბაზარი ითხოვდა რუსული ენის ცოდნასაც. აღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამაში ხდებოდა ორი ენის შეთავაზება.

სხდომის თავმჯდომარემ, იკითხა აღნიშნული ენები წარმოადგენდნენ თუ არა ერთმანეთის ალტერნატივას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ხდებოდა ორივე ენის სწავლება. პროგრამაში წარმოდგენილი იყო პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის კომპონენტებიც, 10-10 კრედიტის ოდენობით. პროგრამას არ ჰყავდა კურსდამთავრებული და შესაბამისად არ იყო შესრულებული ნაშრომი, მაგრამ მოხდა წინა პროგრამის ფარგლებში არსებული ნაშრომების

განხილვა და დასკვნაშიც მოხდა აღნიშნულზე ყურადღების გამახვილება. სასწავლო კომპონენტების მიზნებისა და შედეგების შეფასებისას გამოიკვეთა "აკადემიური წერის" სილაბუსის გადამუშავების საჭიროება. ის მოითხოვდა სავალდებულო ლიტერატურის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, ღირებულებითი ნაწილის შევსებას, რადგანაც სილაბუსში აღნიშნული არ იყო კომუნიკაციის შედეგის უზრუნველყოფა და სხვა ღირებულებების ნაწილის გამომუშავება.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, ეს ნაწილი არ იყო აღნიშნული სილაბუსში თუ არ ხდებოდა მათი გამომუშავება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კურსი გარკვეულ ღირებულებას აძლევდა სტუდენტს, თუმცა ეს არ იყო მითითებული სილაბუსში და შესაბამისად სილაბუსი საჭიროებდა სრულყოფას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ვინაიდან პროგრამა ანიჭებდა მიმართულებათშორის კვალიფიკაციას, ექსპერტებს მიაჩნდათ რომ ისეთ საგნებზე როგორიც იყო: ტურიზმის ეკონომიკა, ტურიზმის მენეჯმენტი, ტურიზმის მარკეტინგი, უნდა გაზრდილიყო კრედიტების მოცულობა, რადგანაც პროგრამა არ უზრუნველყოფდა ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციის მინიჭებას და საჭირო იყო მეტი პროფილური საგნის სწავლება. საჭირო იყო სწავლის შედეგების კორექტირება შემდეგ სილაბუსებში: აკადემიური წერა, ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება და ფსიქოლოგია, ფილოსოფიის საფუძვლები, საქართველოს ისტორია, ბიზნესის კომუნიკაციები, MICE ტურიზმი. ის რეალური შედეგები, რაზეც აღნიშნული კურსები გადიოდა, ასახული უნდა ყოფილიყო როგორც სილაბუსებში, ასევე პროგრამაში. ჯგუფმა განახორციელა შეხვედრები როგორც დამსაქმებლებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან, რომელთა ინტერვიუირების შედეგადაც ექსპერტთა ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა, რომ პროგრამაში გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება უნდა დანერგილიყო ორგანიზაციებისა და საჭირო რესურსების მობილიზებით. ასევე საჭირო სპეციფიკაცია, თუ რა რაოდენობის სტუდენტებს მიიღებდნენ პრაქტიკაზე ორგანიზაციები, რომლებთანაც არსებობდა მემორანდუმები. მაგალითისათვის, ერთ-ერთ დამსაქმებელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მას არ შეეძლო 10-ზე მეტი სტუდენტის მიღება. მიზანშეწონილი იყო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულად, სემესტრების მიხედვით გადანაწილება და წინაპირობების განსაზღვრა. ასევე სასწავლო კურსების - ტურიზმის გეოგრაფია, ტურისტული-რეკრეაციული რესურსები - სახელწოდებების ან შინაარსების ცვლილება და მათი ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ შემთხვევაში უფრო მარტივი იქნებოდა სახელების მოდიფიცირება.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა დაზუსტებულიყო, ტერმნინი "მიზანშეწონილია"აღიქმებოდა როგორც რჩევა, მაშინ როდესაც საუბარი იყო რეკომენდაციაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ის საუბრობდა რეკომენდაციებზე, რაც არსით წარმოადგენდა ნაკლს. საჭირო იყო ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების მაღალი ხარისხი, იქნებოდა ეს კარიერული ოფისი თუ საგარეო ურთიერთობების სამსახური. საჭირო იყო გაზრდილიყო სტუდენტების ინფორმირებულობა საუნივერსიტეტო სერვისებთან მიმართებაში სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიების საშუალებით. რეკომენდაციის საჭიროება გამოიკვეთა სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად, როდესაც აღმოჩნდა, რომ სტუდენტებს ინფორმაცია არ ჰქონდათ რიგ საკითხებთან მიმართებაში. უნდა გატარებულიყო ღონისძიებები საუნივერსიტეტო კვლევებში სტუდენტთა ჩართულობის გასაზრდელად.

სტუდენტების ნაწილი მონაწილეობას იღებდა კონფერენციებში, თუმცა ნაწილს საერთოდ არ გააჩნდა ინფორმაცია, ამიტომაც საჭირო იყო ამ მიმართულებით ძალისხმევის გაზრდა. რეკომენდირებული იყო, გატარებულიყო ღონისძიებები სტუდენტთა კომპეტენციების ასამაღლებლად სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობისათვის ან საკონფერენციო ნაშრომის/სტატიის/საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისთვის. რეკომენდაცია უკავშირდებოდა აკადემიური წერის სილაბუსს. ექსპერტებს შეხვედრა ჰქონდათ კურსის ხელმძღვანელთან, რომელიც დაეთანხმა ექსპერტთა მოსაზრებას, მასაც მიაჩნდა რომ სილაბუსს უნდა ჰქონოდა სახელწოდება "აკადემიური წერა და პრეზენტაცია". ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ ამ სილაბუსის გადამუშავების შედეგად სტუდენტები უფრო მარტივად შეძლებდნენ სამეცნირო კვლევით ნაშრომებზე მუშაობას. ამის საჭიროება გამოიკვეთა პედაგოგებთან საუბრისასაც, რომლებმაც განაცხადეს, რომ უჭირდათ სტუდენტებთან ემუშავათ სამეცნირო კვლევითი მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რამდენად იყო პირდაპირ კავშირში "აკადემიური წერის" სილაბუსის გაუმჯობესება მეცნიერულ მუშაობასთან.

ექსპერტმა უპასუხა, რომ პირდაპირი კავშირი არ იყო, მაგრამ აღნიშნული უზრუნველყოფდა გარკვეული კვლევითი კომპონენტების დახვეწის შესაძლებლობას, იგივე კვლევის მიზნის, თუ მეთოდის განსაზღვრის კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, იყო თუ არა პროგრამაში სამეცნიერო კომპონენტი.

ექსპერტმა უპასუხა, რომ სამეცნიერო კომპონენტს წარმოადგენდა საბაკალავრო ნაშრომი.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, იყო თუ არა საბაკალავრო ნაშრომი ისეთი ხარისხის მქონე, რომ ის სამეცნიერო ნაშრომად ყოფილიყო განხილულიყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საგანს უნდა უზრუნველეყო საფეხურის შესაბამისი უნარების, ინფორმაციის მოძიების, დახარისხების და სხვა უნარები. დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა პროგრამა, რომელიც პლაგიატის აღმოფხვრას უზრუნველყოფდა და იწყებოდა ამ პროგრამის დანერგვა. აკადემიური წერის აქტივიზაცია ამიტომაც იყო მნიშვნელოვანი.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ აკადემიური წერა და პლაგიატის აღმოფხვრა ვერ იქნებოდა პირდაპირ კავშირში ერთმანეთთან. შესაძლოა ნაშრომი აკადემიურად გამართული ყოფილიყო, თუმცა პლაგიატი მაინც განხორციელებულიყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ჯგუფი თვლიდა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია პასუხობდა ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს. მიზანშეწონილი იყო დაწესებულების საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო ლიტერატურაზე მისაწვდომობა დაწესებულიყო შეუზღუდავი რეჟიმით, რადგანაც საჭირო იყო სტუდენტებს ჰოქნოდათ წვდომა ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე დაწესებულების გარეთაც. საჭირო იყო დაწესებულებას უზრუნველეყო აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდა. ვიზიტის პერიოდში პროფილური აფილირებული პერსონალი ტურიზმის მიმართულებით წარმოდგენილი იყო, თუმცა მთელი რიგი ტურიზმის მიმართულების საგნებისა შეთავაზებული იყო მოწვეული პერსონალის მიერ, ამიტომაც, პროგრამის მდგრადობის მიზნით საჭირო იყო დაწესებულებას უზრუნველეყო რამოდენიმე აფილირებული კადრის მიღება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ როგორც უკვე იქნა აღნიშნული კარიერული განვითარებისა და დასაქმების ცენტრის და საგარეო ურთიერთობების სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე არსებობდა მოთხოვნა. ექსპერტები ვერ შეხვდნენ აღნიშნული

სამსახურების წარმომადგენლებს ვიზიტის დროს, თუმცა მათი საქმიანობის შესახებ არც სტუდენტებს ჰქონდათ ინფორმაცია და ამიტომაც იქნა გამოყოფილი ეს ორი სამსახური ხაზგასმით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა იყო ახალი, ახალი შინაარსით, რომელსაც ბუნებრივია არ ჰყავდა კურსდამთავრებული. ვინაიდან აკრედიტაციის პროცესი განიხილებოდა როგორც თანამშრომლობითი, გათვალისწინებული იქნებოდა ექსპერტთა მიერ წარდგენილი ფასეული რეკომენდაციები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, განხორციელდებოდა თუ არა უკვე არსებული ტურიზმის პროგრამა მილევად რეჟიმში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინა პროგრამა აკრედიტირებული იყო 2011 წელს და ანიჭებდა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს, რადგან ამას ითვალისწინებდა კვალიფიკაციათა ჩარჩო, რომელიც ტურიზმს განიხილავდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებად. მას შემდეგ რაც წესში განხორციელდა ცვლილება, შეიქმნა ახალი პროგრამა, რომელსაც არ ჰყავდა სტუდენტი და კურსდამთავრებული.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, დაიხურებოდა თუ არა წინა პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის ბრძანებით ძველი პროგრამა, რომელზეც განაცხადი შეტანილ არ იქნა, არის დახურული. ძველ პროგრამაზე ვერ იქნა გამოცხადებული მობილობაც. მოცემული მდგომარეობით ერთადერთი პროგრამა ტურიზმის მიმართულებით სწორედ ახალი, განსახილველი პროგრამა იყო.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რა ბედი ეწეოდათ ძველი პროგრამის სტუდენტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი მობილობით იქნებოდნენ გადაყვანილნი ახალ პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი სტუდენტი ჰყავდა დახურულ პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას დაახლოებით 25 სტუდენტი ჰყავდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რომელ კურსზე აღმოჩნდებოდნენ მეოთხე კურსელები მობილობის შედეგად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამას არ ჰყავდა მეოთხე კურსელი სტუდენტები და ირიცხებოდნენ მხოლოდ პირველი და მეორე კურსელი სტუდენტები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რომელ კურსე აღმოჩნდებოდა მეორე კურსელი სტუდენტი მობილობის შემდგომ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მეორე კურსელი სტუდენტი იყო ის სტუდენტი, რომელიც ახლა გადადიოდა მეორე კურსზე, ხოლო პირველკურსელად მათ თვლიდნენ, ვისაც მომავალში მიიღებდნენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ დააზუსტა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებიდან გამომდინარე, პროგრამას ჰყავდა სტუდენტები, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ 60 კრედიტი. რით იყო გამოწვეული უფრო მაღალი კურსების არ არსებობა, იყო თუ არა ჩავარდნა პროგრამაზე მიღების პროცესში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ერთი წელი არ ჰქონიათ მიღება.

სხდომის თავმჯდომაერემ იკითხა, 25 სტუდენტი მოიცავდა თუ არა სტატუსშეჩერებულ სტუდენებსაც, თუ მათი რაოდენობა კიდევ სხვა იყო და რამდენი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს რაოდენობა მხოლოდ აქტიური სტუდენტებისა იყო. სტატუსშეჩერებული სტუდენტები პროგრამას ჰყავდა, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა მან არ იცოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რა იყო სტატუსის შეჩერების ძირითადი მიზეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძირითადად ეს ხდებოდა ოჯახური და ფინანსური პირობების გამო.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ მოითხოვა დაზუსტებულიყო, რადგან ძველი პროგრამაზე არსებობდა მხოლოდ მეორე კურსი და მათ არ ჰყავდათ მესამე კურსი, ნიშნავდა თუ არა ეს რომ რეალურად ჩავარდნა 2 წელი იყო მიღებაზე და არა ერთი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს აღნიშნული დაუდასტურა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, სტუდენტებს, რომლებმაც 60 კრედიტი უკვე აითვისეს, რამდენი კრედიტი ექნებოდათ განსხვავება მოცემულ პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაქსიმუმ 15 კრედიტი ექნებოდა სხვაობა მას, ვინც 60-ივე კრედიტი აითვისა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, მათივე ხარჯებით მოხდებოდა თუ არა კრედიტების დამატება სტუდენტებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა რომ მობილობის მექანიზმი შემუშავებული იყო და კრედიტების ხარჯები ანაზღაურდებოდა დაწესებულების მიერ. ძირითადი სხვაობა იქნებოდა რუსული ენა, რომელიც დამატებულ იქნა.

დაწესებულების წარმომადდგენელმა რეკომენდაციაზე რომელიც შეეხებოდა ტურიზმის ეკონომიკის, ტურიზმის მენეჯმენტის და ტურიზმის მარკეტინგის კრედიტების ზრდას, განაცხადა, რომ მსგავსი კურსების მიმართ ელასტიური მიდგომა მიღებული იყო ბოლონიის პროცესით. იმ შემთხვევაში თუ გაიზრდებოდა ტურიზმის ეკონომიკის საგანი, ფაქტობრივად ტურიზმის მიმართულებით საგნებს დაეთმობოდა მთელი პროგრამის 10%.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, შედიოდა თუ არა ტურიზმის ბლოკში მაკრო ეკონომიკა და მიკრო ეკონომიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული კურსები შედიოდა ტურიზმის ბლოკში. ისინი ასწავლიდნენ ზოგად მარკეტინგს და სტუდენტმა უკვე იცოდა რას მოიცავდა ისეთი საკითხები, როგორიც იყო სეგმენტირება თუ პოზიციონირება. ტურიზმის მარკეტინგი კი მოიცავდა ტურიზმის სპეციფიკურობის გათვალისწინებით პოზიციონირებას ბაზარზე. დაწესებულების პოზიცია იყო რომ ამ კრედიტების შემცირებით მათ უთავისუფლდებოდათ კრედიტები რაც არსობრივად მნიშვნელოვან საკითხებს დაეთმობოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხებოდა პრაქტიკის კომპონენტის დაგეგმვას, განაცხადა, საკითხი ეხებოდა არითმეტიკულ მიდგომას. დაწესებულების წარმომადგენელი თავად იყო დამსაქმებელი, რომელსაც შეეძლო 100 სტუდენტის დასაქმება. მათ ჰყავდათ მეორე დამსაქმებელი (ჰუალინგი), ანალოგიური შესაძლებლობით. დაწესებულებას მიაჩნდა, რომ მნიშვნელოვანი არ იყო დამსაქმებლების რაოდენობა, თუ საერთო ჯამში სტუდენტების შესაბამისი რიცხვი დასაქმდებოდა, მითუმეტეს იმ პირობებში, რომ ძირითად დამსაქმებლებს ტურიზმის სფეროში სასტუმროები წარმოადგენდნენ და არა ტურისტული სააგენტოები, რომლებსაც მცირე კონტიგენტის აყვანა შეეძლოთ.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ მოითხოვა დაზუსტება, საუბარი იყო პრაქტიკაზე თუ დასაქმებაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა დასაქმებას.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, რა პოზიციებზე საქმდებოდნენ დაწესებულების სტუდენტები სასტუმროებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების კურსდამთავრებულები ძირითადად შესაძლოა დასაქმებულიყვნენ ფუნქციონალური მენეჯერების პოზიციაზე, თუმცა კარგი სტუდენტები სახაზო მენეჯერების დონეზეც შეიძლებოდა განხილულიყვნენ. თუმცა აღნიშნული არ გულისხმობდა სასტუმროს სტუმართა რეგისტრაციის პოზიციას.

საბჭოს წევრების მიერ გამოითქვა აზრი, საჭირო იყო თუ არა უმაღლესი განათლების მიღება აღნიშნული პოზიციის დასაკავებლად.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ იკითხა, კარიერული თვალსაზრისით, მაგალითად მაგისტრის დიპლომით აღნიშნულ სფეროში, რას შეიძლებოდა მიეღწია სტუდენტს, თუ სასტუმროს მენეჯმენტზე იქნებოდა საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქართული ბაზარი სასტუმროებისა ორ ნაწილად იყოფოდა, ეს იყო ტრანსნაციონალური კომპანიები და ადგილობრივი ინვესტიციები. ტოპ მენეჯერები ტრანსნაციონალურ კომპანიებში ძირითადად უცხოელები იყვნენ, რომლებიც იცვლებოდნენ როტაციის პრინციპით. რაც შეეხებოდა ადგილობრივ კომპანიებს აქ ადგილი ჰქონდა გარკვეულ პრობლემებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს ჯერ მოესმინათ პასუხები რეკომენდაციებზე დაწესებულების მხრიდან და შემდგომ გადასულიყვნენ კითხვა-პასუხის რეჟიმზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა კურსების სემესტრების მიხედვით გადანაწილების შესახებ განაცხადა, რომ იქვე იყო მითითება, რომ ზოგადი ლოგიკა კურსების თანმიმდევრობასთან მიმამართებაში იყო დაცული. ექსპერტების მოსაზრება იყო, რომ მარკეტინგის სწავლება მომხდარიყო მაშინ, როდესაც სტუდენტებმა იცოდნენ ბაზარი, რაც ბუნებრივია სწორი იყო. ნებისმიერი პროფესიის ადამიანისთვის შეიძლებოდა მარკეტინგის სწავლება, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელი თვლიდა, რომ მისი წინაპირობა უნდა ყოფილიყო მაკრო და მიკრო ეკონომიკა, რადგან ეს მეტ ეფექტიანობას განაპირობებდა. სასწავლო კურსების - ტურიზმის გეოგრაფია, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები - შესახებ განაცხადა, რომ არსებობდა სახელმძღვანელო საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებზე და კურსი დაკავშირებული იყო სახელმძღვანელოსთან.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, იყო თუ არა რომელიმე რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება იზიარებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს იყო მათი ხედვა და დამოკიდებულება, თუმცა ექსპერტთა შეხედულებები პატივსაცემი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა ღონისძიებების გატარებას სტუდენტების ჩართულობის გასაზრდელად საუნივერსიტეტო კვლევებში. მან განაცხადა, რომ სტუდენტები ყოველწლიურად იღებდნენ მონაწილეობას კონფერენციებში, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რა ტიპის კვლევებზე იყო საუბარი და რა მოხსენებები კეთდებოდა სტუდენტების მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტები ითვისებდნენ კვლევის ელემენტებს, მაგალითად სტუდენტები ჩართულები იყვნენ გამოკითხვებში, სადაც ისინი აგროვებდნენ მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს გამოეხატათ პოზიცია პერსონალის გაზრდის შესახებ არსებულ რეკომენდაციაზე, რადგან საბაკალავრო პროგრამისათვის ეს საკმაოდ მტკივნეული საკითხი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული იყო 7 აფილირებული პროფესორი, 3- ასოცირებული, 2- აფილირებული ასისტენტ პროფესორი და 8 მოწვეული პერსონალი.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, რამდენი პროფესორი კითხულობდა ტურიზმის საგნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გამოაცხადეს კონკურსი ტურიზმის მიმართულებით, ყველა წესის დაცვით, როგორც პროფესორის, ასევე ასისტენტ პროფესორის ასევე ასოირებული პერსონალის მიღების მიზნით, ჯამში 5 ადგილზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რატომ არ მოხდა კონკურსის გამოცხადება მოცემულ დრომდე ან რა გარანტია არსებობდა რომ განცხადებას შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი გამოეხმაურებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაც და დაწესებულებაც ვითარდებოდა, ამასთანავე აფილირება იყო ახალი პრაქტიკა, რაც მანამდე არ არსებობდა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ განაცხადა, რომ როგორც დაწესებულებამ აღნიშნა სტუდენტები ჩართული იყვნენ მონაცემების შეგროვების პროცესში. მან იკითხა, რა უნარებს უვითარებდა აღნიშნული სტუდენტებს, იყო თუ არა ეს კვლევითი უნარის განვითარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მაგალითისათვის, კომპანია Travel.ge-ის ჰქონდა ტურისტული მარშრუტების აპლიკაცია, რომლის მარშრუტების დაგეგმაში, ფოტო გადაღებებში და სხვა, მათმა სტუდენტებმა მიიღეს მონაწილეობა, კონკურსის ფარგლებში შერჩეული 3 საუკეთესო სტუდენტის მარშრუტი უკვე განთავსებული იყო საიტზე და დაინტერესებული პირები უშუალოდ მათ უკავშირდებოდნენ, რაც ფაქტობრივად მათ საკუთარ "სტარტაპს" წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ მას სურდა დაბრუნებოდა პროგრამის შინაარსობრივ ნაწილს. მან იკითხა, ფიქრობდა თუ არა დაწესებულება, რომ საჭირო იყო არჩევითი კურსის სახით მაინც, შეთავაზებული ყოფილიყო კურსი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ან ქართული ხელოვნების ისტორიის მოკლე კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საჭირო იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ კი პროგრამა მოამზადებდა გიდებს ან ექსკურსიამძღოლებს, თუმცა ტურიზმის მენეჯერს სხვა ფუნქციები გააჩნდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განაცხადა, რომ როდესაც საქმე შეეხებოდა ტურიზმს, სტუდენტს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, ინტერესის შემთხვევაში, აერჩია სასწავლო კურსი, რომელიც საშუალებას მისცემდა მას ცოდნა მიეღო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ქართული ხელოვნების სფეროშიც, რათა ზოგადად მაინც სცოდნოდა, რას გვთავაზობს საქართველოს გარემო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კულტურული და რელიგიური ტურიზმი ჩართული იყო პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა უპასუხა, რომ მან ნახა ნახსენები სილაბუსები, თუმცა კურსებში აქცენტი იყო ორგანიზებაზე, თავად კი საუბრობდა იმაზე, რომ პროგრამას უნდა მიეცა შესაძლებლობა, ინტერესის შემთხვევაში, სტუდენტს მიეღო ცოდნა თვით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რადგან ბაკალავრიტის საფეხურში მოიაზრებოდა ფართო და ზოგადი ცოდნის მიღება.

დაწესებულების წარმომადგენლები თვლიდნენ რომ მათ მიერ შეთავაზებული ცოდნა ამ მიმართულებით მოცულობითი იყო, თუმცა 12 000 კულტურული ძეგლის შესწავლა შეუძლებელი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა უპასუხა, რომ საუბარი არ ეხებოდა იმას, რომ სტუდენტს ყველა ძეგლი შეესწავლა, საქმე ეხებოდა არჩევითობას, არჩევითი კურსის შეთავაზებას, რათა სტუდენტს ჰქონოდა შესაძლებლობა ზოგადი ცოდნა მიეღო ქართულ ხელოვნებაში/კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ, რაც მას მეტი გააზრების საშუალებას მისცემდა. არსებული სილაბუსები კი ნაკლებად ეხებოდა კულტურას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება იმყოფებოდა ავტორიზაციის რეჟიმში. საკითხი დაისვა საგარეო და კარიერული სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ეფექტიანობის კუთხით ექსპერტთა მიერ. დღის წესრიგით გათვალისწინებული არ იყო შეხვედრები სამსახურების წარმომადგენლებთან და ამიტომაც ამის ორგანიზება არ მომხდარა. ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის სამოქმედო გეგმა იყო გაწერილი. მან იცოდა რომ ეს საკითხი სტუდენტებთან შეხვდერაზე გამოიკვეთა, თუმცა ეს იყო ახალი პროგრამა, ახალი გეგმით და ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით.

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი შეხვედრების დღის წესრიგით გაწერა არ ხდებოდა თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა ექსპერტებს ჰქონდათ უფლება მოეთხოვათ სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან შეხვედრა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სტრუქტურული ერთეულის ეფექტიანობის შემოწმება შეიძლებოდა ნებისმიერ სტუდენტთან გასაუბრების შედეგად. სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია არც გაცვლით პროგრამებზე, არც უცხოელი ლექტორები იყვნენ ჩამოსულები, რამაც ინტერნაციონალიზაციის საკითხზე გააჩინა კითხვები. დებულების არსებობა ავტომატურად არ გულისხმობდა ეფექტიან მუშაობას, თუმცა გამოსწორება შესაძლებელი იყო, მითუმეტეს თუ გეგმა არსებობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არსებობდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და წარდგენილი იყო ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში, ამასთანავე ამ კუთხით საკუთარი სუსტი მხარეები იცოდა დაწესებულებამაც და მას ჰქონდა გეგმები აღნიშნული საკითხის გამოსწორებასთან დაკავშირებით. რაც შეეხებოდა პრაქტიკას, პრაქტიკის ნაწილი შედგებოდა სამი ნაწილისაგან- ტურისტული ფირმისაგან, სასტუმროსა და რესტორნისაგან, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ როტაციის წესით.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, რა პოზიციას დაიკავებდნენ რესტორანში სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ მენეჯერის ასისტენტებიც და მეტრდოტელის, ან ოფიციანტების დუბლიორებიც.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ ყველა სტუდენტს ყოველთვის უხსნიდნენ კარიერული განვითარების გზას. თუ დაწესებულება სტუდენტს ეტყოდა რომ მისი კარიერა უნდა დაკავშირებოდა ოფიციანტის დუბლიორობას, ის დათანმდებოდა თუ არა ამ შეთავაზებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიზანი იყო არა ოფიციანტობა, არამედ ტექნოლოგიური ციკლის შესწავლა, უნდა მომხდარიყო გათავისება ციკლის ყველა ეტაპისა.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ შესაძლოა გეგმა ყოფილიყო კარგი, თუმცა ამას არ ემუშავა. კარიერული განვითარების გეგმა ბუნებრივია ექნებოდა დაწესებულებას, თუმცა ექსპერტი დაწესებულებაში მიდიოდა იმისთვის რომ მისი შემოწმება მოეხდინა და როგორც იკვეთებოდა კითხვებიც სწორედ პრაქტიკაში გეგმის ეფექტურობამ გამოიწვია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას ესმოდა სტუდენტების დამოკიდებულება, როდესაც ისინი ამბობდნენ რომ ინფორმაციაზე წვდომა არ ჰქონდათ, მაგალითად მარეგულირებელ დოკუმენტაციაზე წვდომა. მათი დამოკიდებულება კიდევ ცალკე საკითხს წარმოადგენდა, რადგან სტუდენტები ზოგადად პოზიციებს ხშირად იცვლიდნენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ის მხარს უჭერდა პროგრამის ხელმძღვანელს და ეთანხმებოდა იმ საკითხში რომ ბაკალავს უნდა ჰქონოდა პრაქტიკის ფართო სპექტრი, მათ შორის ოფიციანტად მუშაობის გამოცდილებაც, თუმცა თუ ზოგადად პროგრამის შინაარსზე იქნებოდა საუბარი, უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო გარკვეულიყო რაზე კეთდებოდა აქცენტი. ვის ამზადებდა პროგრამა, კადრებს რომლებიც ტურიზმის სფეროში ქვეყნის პოლიტიკის მიმართულებით იმუშავედნენ თუ კადრებს რომელიც ტურიზმის სფეროში საოპერაციო საკითხებით იქნებოდნენ დაკავებული. პროგრამის ხელმძღვანელის საუბრიდან გამომდინარე პროგრამა ორიენტირებული იყო პრაქტიკოსი მენეჯერების მომზადებაზე, თუმცა ეს არ ჩანდა პროგრამის კურუკულუმიდან. იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც გაწერილი იყო პროგრამაში და განცხადებული იყო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ საჭირო იყო განსხვავებული პრაქტიკული მეთოდები, რაც ჩანდა პროგრამის ხელმძღვანელის საუბარში და არ ჩანდა სილაბუსებში. რეკომენდაცია იქნებოდა მომხდარიყო ქეისების დამატება ტურიზმის მიმართულებით. ბატონი გიორგი ექსპერტებს ეთანხმებოდა იმაში, რომ აუცილებელი იყო აღნიშნულ პროგრამაზე მარკეტინგის სწავლების გაძლიერება. რაც შეეხებოდა შინაარსობრივ საკითხს მაგ. საგანი - ტურიზმის გეოგრაფია საჭიროებდა გადახედვას რადგან, ისწავლებოდა ისეთი თემები როგორიც იყო მსოფლიო პოლიტიკური რუკა, ქვეყნები განვითარების დონის მიხედვით, გაერო და ა.შ. ანუ თემები რომლებიც ეკონიმიკური და სოციალური გეოგრაფიის საბაზისო საკითხები იყო და საგნის სათაურს ნაკლებად შეესაბამებოდა. საჭირო იყო საგნის სტრუქტურის და შინაარსის გადახედვა. საგანში აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ტურისტული ნაკადების სწავლებაზე და იმაზე თუ რა განაპირობებდა ამ ნაკადების წარმოქმნას. მაგ. ერთ-ერთ შეხვედრაზე ისწავლებოდა ბრიტანეთიც, ბენელუქსიც და გერმანიაც რაც ძნელი წარმოსადგენი იყო რადგან თუნდაც ისეთი მრავალფეროვანი საკითხის სწავლება როგორიც ბრიტანეთის ტურისტული პოტენციალი მითუმეტეს სხვა ქვეყნებთან და საკითხებთან ერთად ერთ საათში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. პროგრამაში საერთოდ არ იყო მენეჯერული აღრიცხვა, რაც იმ დაწესებულებებში სამუშაოდ რომელიც თავად დაწესებულების მიერ იქნა ნახსენები ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ. ასევე პროგრამაში არ იყო ფინანსების სწავლებაც, ბიუჯეტირების გარეშე ტურიზმის მენეჯმენტი წარმოუდგენელი იყო. ყველა ტურისტული ჯგუფი ეს არის ცალკეული პროექტი, ამიტომაც პროგრამაში უნდა შესულიყო პროექტების მართვაც. პროგრამაში არ ჩანდა თუ როგორ ახდენდა ესა თუ ის ქვეყანა ტურიზმის რესურსების მონეტარიზაციას. ასევე არ ჩანდა სხვადასხვა ქვეყნების ტურიზმის

განვითარების სტრატეგიებიის სწავლება. მაგალითად კულინარიული ტურიზმი. პროგრამაში უნდა ჩადებულიყო ისეთი საკითხიც, როგორიც იყო მიშელინის ვარსკვლავი და სხვა მსგავსი რეიტინგები. ანალოგიური შეიძლებოდა თქმულიყო სამედიცინო ტურიზმზეც. პროგრამაში იყო სამკურნალო ტურიზმი, თუმცა ეს ორი სხვადასხვა სფერო იყო. მან იკითხა ასწავლიდნენ თუ არა პროგრამაზე ონლაინ დაჯავშნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ ერთი საგანი - სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ საჭირო იყო ამ საგანში კონკრეტული თემების გაძლიერება. ტურიზმისთვის ასევე უმნიშვნელოვანესი იყო უსაფრთხოების მენეჯმენტი. ასევე სტუმრმართმასპინძლობის კურსი შესაძლებელი იყო ჩადებულიყო პროგრამაში შესავალი კურსის სახით. ის რასაც დაწესებულება ხსნიდა და საუბრობდა მისასალმებელი იყო, თუმცა უნდა გამოჩენილიყო კურიკულუმსა და სილაბუსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ის ეთანხმებოდა საბჭოს წევრს. არსებობდა ორი პრობლემა, ერთი - სახელმძღვანელოების პრობლემა და მეორე - კრედიტების პრობლემა, რომელიც პროგრამას არ ჰყოფნიდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ უპასუხა რომ კრედიტების შემცირება და მორგება შესაძლებელი იყო სასწავლო კურსის ლოგიკიდან გამომდინარე, რასაც ექსპერტებიც ხაზს უსვამდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ის იზიარებდა საბჭოს წევრის საინტერესო პოზიციას, თუმცა სახელმძღვანელოები იყო სერიოზული პრობლემა, რაც ცნობილი იყო. საჭირო იყო რიდერები, რაზეც დაწესებულება მუშაობდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ თუ დაწესებულების წარმომადგენლის ახსნილი, პრაქტიკული გეგმები აისახებოდა სილაბუსებში და პროგრამაში, ამით პროგრამა მხოლოდ მოიგებდა, თუმცა მოცემული სახით ჩნდებოდა განცდა, რომ ვერბალური ინფორმაცია და დოკუმენტაციით წარდგენილი ინფორმაცია ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდიოდა.

17:52 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 18:10 საათზე.

სხდომის თავმჯდომაეემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე-0
წინააღმდეგი-12

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის

„ბ" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭოს აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სტანდარტის 1.2. და 1.3. კომპონენტები არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

2. ა(ა)იპ - **საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.**

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია)
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი 1007
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა განსახლოველ საკითხთან მიმართებით განაცხადა აცილება ვინაიდან ის დაწესებულებაში გახლდათ მიწვეული კონსულტანტი სადოქტორო პროგრამის შემუსავების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამა პირველად გადიოდა აკრედიტაციას და ის აქამდე არ ფუნქციონირებდა. პროგრამას არ ჰყავდა სტუდენტი და კურსდამთავრებული, აქედან გამომდინარე ხარისხის მართვის მექანიზმების გადამოწმება ამ

პროგრამასთან მიმართებაში შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ დაწესებულება ახორციელებდა სხვა პროგრამებს საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე და მექანიზმების გაცნობა მათ საფუძველზე განხორციელდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სახელოვნებო უნივერსიტეტებში ხორციელდებოდა ხელოვნების ისტორიის და თეორიის სადოქტორო პროგრამები და განსახილველ პროგრამას შეეძლო კონკურენცია გაეწია მათთვის, იმდენად რამდენადაც მისი მიზანი იყო არამხოლოდ მკვლევარის გაზრდა არამედ პედაგოგისაც. რეკომენდაცია იქნა გაწეული რომ შემუშავებულიყო მიმართულების ქვედა საფეხურებიც.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას სურდა დაეზუსტებინა ტექნიკური დეტალი. რეკომენდაცია განიხილებოდა როგორც ხარვეზი, რომლის გამოსწორებაც აუცილებლობას წარმოადგენდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა რჩევას და არა რეკომენდაციას. იმისთვის რომ კონკურენტუნარიან გარემოში უზრუნველყოფილიყო სტუდენტების დასაქმება, სასურველი იყო მიმართულების ქვედა საფეხურების არსებობაც დაწესებულებაში. პროგრამის ექსკლუზიურობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის იყო ორიენტირებული შუა საუკუნეების წიგნის მხატვრობის, მინიატურების და ოქრომჭედლობის ნიმუშების ანალიზზე. მსგავსი მიმართულებით პროგრამა საქართველოში ახალი იყო, რაც პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩათვლილიყო. პროგრამის ძლიერი მხარე იყო ისიც, რომ პროგრამაში დასაქმებული აკადემიური პერსონალი იყვნენ დარგში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ არსებობდა რეკომენდაციები პროგრამის შესახებ. პირველი რეკომენაცია შეეხებოდა სასწავლო კურსებს - ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები და თეორიები, არქეოლოგიის საფუძვლები, რომელთა სწავლის შედეგები თავსებადი არ იყო მესამე საფეხურის პროგრამასთან, ამიტომაც რეკომენდაცია იყო რომ კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოსულიყო სწავლების შესაბამისი საფეხურის მოთხოვნებთან. დაწესებულებას ჰქონდა ურთიერთობა დამსაქმებლებთან, რაც გამოჩნდა დოკუმენტაციითაც და ინტერვიუების დროსაც. ინტენსიური კავშირები არსებობდა რეგიონებთან. თუმცა რეკომენდაცია იყო მეტად გაძლიერებულიყო ურთიერთობები ამ მიმართულებით. პროგრამაში ჩართულ პირებს მოეთხოვებოდათ ნებისმიერი უცხო ენის ფლობა. რეკომენდაცია იყო რომ ინგლისური ენა გამხდარიყო სავალდებულო, რადგან ინგლისურენოვანი ლიტერატურის გაცნობა აუცილებლობას წარმოადგენდა. მიზანშეწონილი იყო განვითარებულიყო ინტერნაციონალიზაციის მიმართულებაც, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაცია დაწესებულებას გაეფორმებინა მემორანდუმები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, რაც ექსპერტის განცხადებით დაწესებულების მიერ განხორციელებულ იქნა. საჭირო იყო თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურა მეტად ყოფილიყო წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ გადამოწმებულ იქნა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე წვდომის შესაძლებლობები და მიჩნეულ იქნა, რომ ეს ნაწილი ასევე უნდა გაეძლიერებინა დაწესებულებას.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, არ არსებობდა და საჭირო იყო ელექტრონული ბიბლიოთეკის ქონა, თუ არსებობდა და მასზე წვდომა იყო გასაძლიერებელი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ელექტრონული ბიბლიოთეკა არსებობდა, თუმცა საჭირო იყო ის გამხდარიყო მრავალფეროვანი სამეცნიერო ბაზებით დატვირთული.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, შეეძლოთ თუ არა სტუდენტებს ელექტრონულ ბაზებზე წვდომა დაწესებულების გარეთ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ წვდომა შესაძლებელი იყო მხოლოდ დაწესებულების ფარგლებში. პროგრამის მდგრადობისათვის რეკომენდირებული იყო პროგრამაში ჩართულიყო მეტი აკადემიური პერსონალი. ექსპერტემბა ვიზიტის დროს ვერ მოიძიეს აფილირებასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ხარისხის მართვის მექანიზმების შესახებ საჭირო იყო ინფორმირებულობის ზრდა და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა ეფექტიანობის ზრდაში. რჩევა იყო კვალიფიკაციის დასახელება ყოფილიყო არა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, არამედ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი. ასევე, რადგანაც სასწავლო კომპონენტში იყო სამი ტიპის სასწავლო კურსები - სავალდებულო არჩევითი, არჩევითი და სპეციალური კურსები, აღმოჩნდა, რომ სპეციალური კურსები იყო სავალდებულო და სასურველი იქნებოდა დახვეწილიყო კურსების კურიკულიმი.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, რამდენი დოქტორანტის მიღებას აპირებდა დაწესებულება და ასევე, სავარაუდო იყო რომ დაწესებულებას ბაზარი შესწავლილი ჰქონდა, მას არ ჰქონდა პირველი და მეორე საფეხური აღნიშნულ პროგრამაზე, რა აძლევდა დაწესებულებას იმაში დარწმუნების საფუძველს, რომ დოქტორანტები მივიდოდნენ განსახილველ პროგრამაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა აპირებდა 5-6 დოქტორანტის მიღებას, რისი ვარაუდის საფუძველსაც იძლეოდა ის, რომ მოძებნილი იყვნენ დამსაქმებლები რომლებთან ერთადაც მიმდინარეობდა აღნიშნული პროგრამის შემუშავება. დღეის მდგომარეობით დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 6 დოქტორთან შემდგომი დასაქმების შესახებ. მან თქვა, რომ შეეძლო დაესახელებინა დაწესებულებები, სადაც აღნიშნული ხელშეკრულება იქნა გაფორმებული.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა დაწესებულებების დასახელება, რადგან დოქტორანტურის საფეხურისათვის მსგავსი შეთანხმება უჩვეულო იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს დაწესებულებები იყო: ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, კულტურის ცენტრის ჭიათურის ხელოვნებათმცოდნეობის მუზეუმი, საქართველოს საპატრიარქოს ახალციხის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სემინარია. დამატებით გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, რომელიც მის დაქვემდებარებაში მყოფ რეგიონალურ მუზეუმებში დაასაქმებდა 2 კურსდამთავრებულს. საერთო ჯამში ხელშეკრულებებით გათვალისწინებული იყო 8 კურსდამთავრებულის დასაქმება.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ განაცხადა, რომ ყველა საფეხურის პროგრამაზე და განსაკუთრების სადოქტორო საფეხურზე, იმისათვის რომ ეფექტურობის მაჩვენებლის დათვლა მომხდარიყო რეკომენდირებული იყო რომ არსებულიყო დადგენილი რეალიზაციის მაჩვენებლები, რომლებიც ემსახურებოდა სტუდენტებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებლის დადგენას. მან იკითხა, მსგავსი ტიპის ანალიზი ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ჩატარებული, რაც მისცემდა დაწესებულებას იმაში დარწმუნების საშუალებას, რომ სადოქტორო პროგრამა იმუშავებდა ეფექტურად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამის შექმნისას იდეა იყო რომ შექმნილიყო ერთგვარი ახალი "ჭურჭელი" სადაც ახალი "ღვინო" ისე მოთავდებოდა, რომ ის წასდგომოდა ერს. დაწესებულება ბოლომდე ვერ გაიზიარებდა შეხედულებას რომ აუცილებელი იყო ტრადიციული დაწესებულებების რელსების მიხედვით ემოძრავათ, რისი თქმის საფუძველსაც იძლეოდა დარგის შესწავლის ის გამოცდილება და

დრო, რაც დაწესებულებას გააჩნდა. სწორედ გამოცდილების შედეგი იყო ხელოვნებათმცოდნეობით დაინტერესება. ეს იყო შედეგი ისეთ ინსტიტუციებთან თანამშრომლობისა, როგორიც იყო ხელოვნებათმცოდნეობის ჩუბინაშვილის ინსტიტუტი, ხელოვნების მუზეუმი და ხელნაწერების ინსტიტუტი. შუა საუკუნეების შესწავლის ხაზიც წარმოადგენა იმ საჭიროებას, რომელიც სახელმწიფოში დაგროვდა. ხელნაწერთა კვლევისას საჭირო გახდა მათი ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი, ყველა თანამედროვე მეთოდის გამოყენებით. იგივე ანჩისხატი, რომლის შესწავლაც ბოლოს 70 წლის წინ მოხდა, საჭიროებდა შესაბამისი სპეციალისტების არსებობასა და ჩართულობას. ფაქტობრივად საქმე ეხებოდა ერის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის პრობლემის გადაწყვეტის საკითხს. ჟურნალ „ალმანახში" განთავსებულ იქნა ლითონ ქანდაკების შესწავლილი ნიმუშების კატალოგი, ჯერ კიდევ იქამდე ვიდრე პროგრამა შეიქმნებოდა. პროგრამის უალტერნატივობაში დარწმუნდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეც, რომელიც არ ესწრებოდა სხდომას და დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის იმეორებდა ამ პათოსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ აფილირების კუთხით პრობლემა არასოდეს ჰქონიათ და გარდა ამისა პედაგოგებთან დაწესებულება მუდმივად ატარებდა ტრენინგებს სწავლისა და შეფასების კუთხით. რაც შეეხებოდა პროგრამის სახელწოდებას, ხელოვნებათმცოდნეობა და ხელოვნების ისტორია შინაარსობრივად იყო ერთი და იგივე და საკვალიფიკაციო ჩარჩო ამ ტერმინებს ერთმანეთისაგან არ ასხვავებდა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გარკვეული სხვაობები ხელოვნებათმცოდნეობასა და ხელოვნების ისტორიას შორის მაინც არსებობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ გაიზიარეს ექსპერტთა რეკომენდაცია უცხო ენების საკითხთან დაკავშირებით ინგლისური ენის ცოდნა განისაზღვრა სავალდებულოდ, თუმცა ეს არ გამორიცხავდა კვლევის საჭიროებებიდან გამომდინარე სხვა ენის მოთხოვნის აუცილებლობასაც.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დარგი ამ კუთხით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყო, რადგან ენათა მრავალფეროვნების საკითხი მხოლოდ დადებითად აისახებოდა მასზე და სხვა ევროპული ენებიც ინგლისურთან თანასწორუფლებიანი იყო ხელოვნებათმცოდნეობაში.

დაწესებუების წარმომადგენელმა განაცხადა რომ ზემოთ ნახსენები გადაწყვეტილება ენების შესახებ მიღებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რეკომენდაციებიდან იყო ორი, რომელიც საბჭოს ყველაზე მეტად აინტერესებდა. ეს იყო სილაბუსების შეუსაბამობა მესამე საფეხურთან და საკუთარი პროფესურის რაოდენობა. ეს ორი კომპონენტი სადოქტორო პროგრამისთვის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველ შემთხვევაში საუბარი იყო კურსების - ხელოვნებათმცოდნეობის ძირითადი ეტაპები და თეორიები და არქეოლოგიის საფუძვლების შეუსაბამობაზე მესამე საფეხურთან. გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია და არქეოლოგიის საფუძვლები ამოღებულ იქნა პროგრამიდან. რაც შეეხებოდა მეორე სილაბუსს, მოხდა მისი რედაქტირება და მესამე საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანა. მან აღნიშნა, რომ სილაბუსების რედაქტირება მუდმივი პროცესი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო განიხილავდა და გადაწყვეტილებას იღებდა იმ საბუთების საფუძველზე რაც მას ხელთ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, იყო თუ არა პრობლემის გადაწყვეტა სილაბუსის პროგრამიდან ამოღება. ხომ არ მიაყენებდა აღნიშნული ზიანს პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს იყო არჩევითი კურსი და პროგრამას მისი ამოღებით ზიანი არ ადგებოდა. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ეს საკითხი დასმულ იქნა. არჩევითი 10 კურსიდან 4 შეეძლო აერჩია დოქტორანტს, შესაბამისად მას ამ საგნის პროგრამაში არ ყოფნა პრობლემას არ უქმნიდა რადგან არჩევანის საშუალება რჩებოდა 9 საგანს შორის. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს არქეოლოგიის საფუძვლების გავლის აუცილებლობა ექნებოდა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ის მას გაივლიდა სხვა სადოქტორო პროგრამიდან.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ განაცხადა, რომ ეს კითხვა გაჩნდა დაწესებულების მხრიდან არტეფაქტების შესწავლის საჭიროებაზე აპელირებიდან გამომდინარე. თუ არქეოლოგია არ იყო სავალდებულო, მაშინ საიდან იღებდნენ სტუდენტები შესაბამის ცოდნას თუნდაც თანამედროვე მეთოდების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტი კურსს მაშინ გაივლიდა, თუ ეს მისი თემის საჭიროებიდან იქნებოდა ნაკარნახევი. თუ დადგებოდა ახალი საჭიროებები და რეალობა ამას აჩვენებდა, გამოჩნდებოდა ახალი წარწერები, როგორც გრაკლიანის გორაზე და პროგრამაზე მივიდოდა დოქტორანტი რომელიც მსგავსი კვლევის თემატიკით იქნებოდა დაინტერესებული, რომელიც შესაძლოა წინაქრისტიანულიც ყოფილიყო, მაშინ არქეოლოგიის სწავლება საჭირო გახდებოდა. რადგანაც მსგავსი ვითარება მოცემული დროისთვის არ იყო, ამიტომ ეს საკითხი ამოღებულ იქნა. აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო 7 აკადემიური პერსონალი. აქედან 4 იყო პროფესორი, ხოლო მათგან 2 იყო ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ხოლო 1 კულტუროლოგიის დოქტორი.

სხდომის თავმჯდომარემ იკითხა, იყო თუ არა აღნიშნული 2 პროფესორი ხელოვნებათმცოდნეობაში აფილირებული დაწესებულებასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აფილირებული იყო 7 პერსონალი, ხოლო აქედან 2 იყო ხელოვნებათმცოდნე.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, იყო თუ არა დაწესებულებაში სისტემა, რომელიც ნაშრომებს ამოწმებდა პლაგიატზე. თვითშეფასების ანგარიშში ამაზე ინფორმაცია მოცემული არ იყო.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დამატებით ინფორმაციას არც ექსპერტთა ჯგუფი ფლობდა, თუმცა როგორც მათ იცოდნენ ასეთი პროგრამა მათ არ ჰქონდათ. მსგავსი პროგრამის ქონა საკმაოდ დიდ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ განაცხადა, რომ მიუხედავად ამისა მსგავს პროგრამაზე წვდომა აუცილებელი იყო. შესაძლოა თავად დაწესებულებას არ ჰქონოდა პროგრამა, მაგრამ სხვისი გამოეყენებინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დებულებაში იყო მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა რა რეგულაციები შეიძლებოდა განხორციელებულიყო პლაგიატის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა განაცხადა, რომ როგორც დაწესებულება აცხადებდა მათ ხელშეკრულებები ჰქონდათ რეგიონალურ დაწესებულებებთან. მას აინტერესებდა, როდესაც სტუდენტი მიდიოდა ამ დაწესებულებაში ხორციელდებოდა თუ არა იქ რაიმე კვლევითი სამუშაო, რაშიც სტუდენტი დასაქმდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ დაწესებულებებში საკვლევი მასალა დიდი რაოდენობით იყო და საჭირო იყო მკვლევარი, რომელიც მას შეისწავლიდა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის უცნაური და არასასიამოვნო იყო ინფორმაცია, რომ დაწესებულება წინასწარ უკვეთავდა სასწავლებელს დოქტორანტთა რაოდენობას, დასაქმების პერსპექტივით. ეს არც ისე დადებითად აისახებოდა პროგრამაზე.

დამსაქმებელმა განაცხადა, რომ პროგრამის აკრედიტირების შემთხვევაში მათ მიერ შერჩეული კადრი გააგრძელებდა სწავლას პროგრამაზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ ამ განცხადებით მდგომარეობა მხოლოდ მძიმდებოდა. ეს ნიშნავდა, რომ დაწესებულებამ წინასწარ იცოდა ვინ დაიცავდა დისერტაციას და ვინ დასაქმდებოდა, რაც პოტენციურად მასზე უკეთეს კადრებს, მაგალითად სხვა დაწესებულებებიდან გზას უღობავდა.

დამსაქმებელმა განაცხადა, რომ სამწუხაროდ ახალციხის რეგიონში მსგავსი მრავალფეროვნება ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით კვლევითი მუშაობის სურვილისა არ არსებობდა და თუ ვინმე მოისურვებდა მხოლოდ მოხარულები იქნებოდნენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რატომ არ ჩააბარა მათმა შერჩეულმა კადრმა სხვა პროგრამაზე ამ დროის განმავლობაში.

დამსაქმებელმა განაცხადა, რომ ეს დაკავშირებული იყო ფინანსურ საკითხთან, მოცემულ დაწესებულებასთან შეთანხმების საფუძველზე კი მოხდა ისე, რომ კადრის საცხოვრებელ პირობებს უზრუნველყოფდა სემინარია ხოლო სწავლის საფასურს გადაიხდიდა ადგილობრივი ადმინისტრაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო პროგრამის შინაარსი. ის რომ საერთო ჯამში კეთდებოდა კარგი საქმე, ეს ცალკე საკითხს წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სილაბუსები, რომლებიც იყო საბაკალავრო დონის უნდა გასწორებულიყო, და მოსულიყო სადოქტორო საფეხურთან შესაბამისობაში. გასაგები იყო დაწესებულების ლოგიკა, რომ იყო არჩევითი კურსები, თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან კურსი უნდა ყოფილიყო სწავლების მესამე საფეხურთან შესაბამისი. დაწესებულებას ჰქონდა საგანი "საჩვენებელი ლექციის მომზადება", რომლისთვისაც 5 კრედიტი ძალიან ბევრი იყო და უმჯობესი იქნებოდა მისი ძირითადი საკითხების ინტეგრირება სხვა საგანში ,,სწავლების და შეფასების სტრატეგიებთან".

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჟანიძემ დაატამა, რომ საჩვენებელი ლექცია უნდა ყოფილიყო შემაჯამებელი შეფასება სტრატეგიების კურსისა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რა სხვაობა იყო მეცნიერულ კვლევასა და ხელოვნების ისტორიის კვლევას შორის და შესაძლებელი იყო თუ არა მათი ერთ საგანში ინტეგრირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პირველი ზოგადი ხასიათის მატარებელი იყო, ხოლო მეორე სპეციფიკურის.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ მას კითხვა ჰქონდა ექსპერტთან, კერძოდ შეფასების დოკუმენტში, პირველ კომპონენტში მათ რეკომენდაცია არ ჰქონდათ, მოცემული იყო რჩევა, თუმცა შეფასებაში მითითებული იყო მეტწილი შესაბამისობა, მაშინ როდესაც 1.2-ში რეკომენდაცია იყო რომ სილაბუსები არ შეესაბამებოდა მესამე საფეხურს და შეფასება კვლავაც მეტწილი შესაბამისობა იყო. მან იკითხა, რით იყო გამოწვეული აღნიშნული გარემოება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია არ შემუშავებულა მხოლოდ ერთი საკითხის გათვალისწინებთ, რამაც რეალურად განაპირობა მსგავსი შეფასებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, შეფასებული იყო ორი სილაბუსი - ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები და არქეოლოგიის საფუძვლები და სხვა. "სხვა"-ში

შესაძლოა მოაზრებულიყო ერთი კურსიც და ყველაც. მას აინტერესებდა კიდევ ბევრ კურსს ჰქონდა თუ არა ანალოგიური პრობლემა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია განზოგადებული იყო სხვა რეკომენდაციებში.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ მას აინტერესებდა პოტენციურად იგივე პრობლემის მქონე სილაბუსების რაოდენობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მას უჭირდა სილაბუსების რაოდენობის დასახელება.

დაწესებულების წარმოადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსები შეესაბამებოდა მესამე საფეხურს, ხოლო მითითებული ლიტერატურიდან ზოგიერთს წყაროს მნიშვნელობაც კი ჰქონდა. ძალიან იშვიათი იყო უცხოელების კვლევები ქართულ მასალებზე და ამ კუთხით ბუნებრივია ეს პროგრამაში ვერც აისახებოდა. პროგრამის მიზანს სწორედ ის წარმოადგენდა რომ გაეზარდა დოქტორანტები რომლებიც შექმნიდნენ ახალ მასალებს, რომლის ნაკლოვანებაც არსებობდა, სფეროში ფაქტობრივად აღარ იყვნენ დარჩენილი მკვლევარები, რაც ბუნებრივია საფრთხეებს ქმნიდა ეროვნული საგანძურის კუთხით. პროგრამის მიზანი იყო ხელი შეეწყო ქართული ეროვნული საგანძურის შენარჩუნებისათვის.

19:20 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:35 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრაზე დადგა პროგრამის სრული აკრედიტაციის საკითხი, რასაც მხარი დაუჭირა საბჭოს ერთმა წევრმა, ნათელა სახოკიამ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის,

27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის (ხელოვნების ისტორია) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას საბჭოს აღნიშნა, რომ აკრედიტაციის სტანდარტის 1.2. კომპონენტი ნაწილობრივ შეესაბამებოდა მოთხოვნებს.

3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საჭირო იყო სრულყოფილი ბაზრის კვლევის ჩატარება ვინაიდან დაწესებულების მიერ განხორციელებული კვლევა ატარებდა მარკეტინგულ ხასიათს. რეკომენდირებული იყო დაწესებულებას გადაეხედა პრაქტიკული კომპონენტის სწავლების მოცულობისათვის. ამასთან, ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა

დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან ძალისხმევასთან, უმჯობესი იყო პრაქტიკა და საბაკალავრო ნაშრომი არ ყოფილიყო ერთდროულად ერთსა და იმავე სემესტრში შეთავაზებული ან დარეგულირებული ყოფილიყო კომპონენტების მოცულობა. პრაქტიკის კომპონენტი ითვალისწინებდა კვირაში 25 საათი სტუდენტის პრაქტიკის ობიექტზე ყოფნას, რაც საკმაოდი დიდ დატვირთვას წარმოადგენდა. ვიზიტის დროს დაწესებულებისათვის დასმულ იქნა კითხვა თუ რატომ შეიცვალა პრაქტიკის კომპონენტის მოცულობა წინა აკრედიტაციის შემდგომ, დაწესებულების მიერ გაცემული პასუხის თანახმად აღნიშნული გახლდათ თავად სტუდენტების მოთხოვნა. რეკომენდირებული იყო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული ყოფილიყო ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო კურსის სწავლება. დაწესებულებას უნდა შეემუშავებინა კრედიტების განაწილების სისტემა თითოეული კურსის შინაარსის გათვალისწინებით. მაგალითად კალკულუსი 1 და კალკულუსი 2 შეთავაზებული იყო 4 კრედიტის მოცულობით, ევროკავშირის საგადასახადო სამართალი 6 კრედიტის. რაოდენობრივი საგნები მოითხოვდა მეტ ძალისხმევას, ამიტომაც სასურველი იყო გაზრდილიყო მათი კრედიტების რაოდენობა. დაწესებულებას პირველ სემესტრში მიკროეკონომიკის ნაცვლად უნდა შეეთავაზებინა სასწავლო კურსი მიკროეკონომიკის პრინციპები, ხოლო მეორე სემესტრში მაკროეკონომიკის ნაცვლად კი მაკროეკონომიკის პრინციპები. თანაც აღნიშნული წარმოადგენდა ფინანსების პროგრამას სადაც ეკონომიკის დიდი დოზით კონცენტრაცია სასურველი არ იქნებოდა. რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსის „ფინანსების თეორია" სწავლის შედეგები მოსულიყო შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან. გაწერილი იყო ბევრი სწავლის შედეგი, თუმცა თემატიკიდან არ ჩანდა როგორ ხდებოდა მათი მიღწევა. სასწავლო კურსი „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის" სილაბუსის თემატიკას უნდა მოეცვა დისპერსიული ანალიზი, რეგრესია და რეგრესიული ანალიზი, დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება. რეკომენდირებული იყო საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გაიზრდილიყო ინგლისური ენის სავალდებულო კომპონენტის სწავლება. ამჟამად აღნიშნულს ეთმობოდა 10 კრედიტი, რისი გაზრდაც უმჯობესი იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ იკითხა, რა დონეზე გადიოდნენ სტუდენტები ამ 10 კრედიტით.

ექსპერტმა განაცხადა, რომ B2 დონეზე გასვლა საკმაოდ რთული იყო, რომლითაც საფეხური უნდა დასრულებულიყო. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მიღება ხდებოდა სხვა ენებითაც. მიზანშეწონილი იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობებიდან პრიორიტეტი მინიჭედობა მათემატიკას. ხოლო მათთვის ვისაც არ ექნებოდა შესაბამისი მათემატიკური უნარი შემოღებულიყო განმავითარებელი შესავალი კურსი, მაგალითად პრეკალკულუსი. საჭირო იყო თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულიყო ამ სასწავლო კურსის მიზნიდან, შინაარსიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ უკანასკნელი რეკომენდაცია შეეხებოდა ზოგიერთ სასწავლო კურსში ლიტერატურის განახლებას. მოცემული იყო 2001, 2005 2006, 2007, 2008 წლების ლიტერატურა და უმჯობესი იქნებოდა მათი განახლება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბაზრის კვლევა მართლაც ატარებდა მარკეტინგულ ხასიათს. როდესაც კვლევა ჩატარდა, ის ჩატარდა ბიზნესის მიმართულების ყველა პროგრამისთვის, თუმცა კვლევაში ფინანსების მიმართულებას ეძღვნებოდა საკმაოდ მოცულობითი ნაწილი, ამიტომ ამ ნაწილში ექსპერტებზე დათანხმება

საკმაოდ რთული იქნებოდა. რეკომენდაციაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ეფექტურობის შესახებ აღინიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც ასევე ჰქონდა ცენტრსაც და სადაც გაწერილი იყო ამომწურავი ინფორმაცია როგორ ხდებოდა ყველა პროგრამის შემუშავება და კრედიტების განაწილება. არსებობდა ასევე დოკუმენტი - საგანმანათლებლო პროგრამის სტრატეგიული დაგეგმის მეთოდები, რომელიც ასახავდა, რომ ყველა სასწავლო კურსის კრედიტი გამოითვლებოდა მისი დატვირთვიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა იკითხა, ნანახი ჰქონდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფს აღნიშნული დოკუმენტაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დოკუმენტაცია თავად წარუდგინა. მან აღნიშნა, რომ თავად პროგრამაში ჩახედვის შემთხვევაშიც, სადაც მოკლედ იყო აღწერილი კრედიტების განაწილების მექანიზმი, ამის დადგენა შესაძლებელი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულების კვლევა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. კურსდამთავრებულებს ჰქონდათ მოთხოვნა პრაქტიკის ნაწილის გაძლიერებისა. საბაკალავრო ნაშრომი წარმოდგენილი იყო არჩევით კომპონენტში და თუ სტუდენტი მოისურვებდა ნაშრომის შესრულებას, დაწესებულება მას სთავაზობდა ბიზნესის კვლევის მეთოდებსაც. გასულ წელს ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან პროგრამაზე მიწვეულნი იყვნენ უცხოელი ექსპერტები, რომლებმაც დაწესებულებას მისცეს რეკომენდაცია, რომ პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო საბაკალავრო ნაშრომი. აქედან გამომდინარე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მერვე სემესტრის სტუდენტებისათვის გამოთავისუფლებულიყო დრო, მათ ჰქონოდათ თუნდაც ერთი კურსი მოსასმენი, 18 კრედიტიანი პრაქტიკა, რომელიც გრძელდებოდა მთელი სემესტრის მანძილზე და დღეში მოიცავდა 5 საათს, შესაბამისად მათ რჩებოდათ დრო იმისათვის რომ ემუშავათ საბაკალავრო ნაშრომზე. ლიტერატურის შესახებ დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბუნებრივია ეთანხმებოდნენ ექსპერტებს რომ საჭირო იყო ახალი ლიტერატურა. თუმცა ლექტორს, ჰქონდა აკადემიური თავისუფლება დაეგეგმა კურსი. დაწესებულების მიერ წარდგენილი იქნა განახლებული ლიტერატურის ნუსხა, თუმცა რადგანაც ვიზიტის შემდგომი ცვლილებები ცენტრის მიერ აღარ განიხილებოდა მას საბჭოს წევრებამდე არ მიუღწევია. თუმცა სურვილის შემთხვევაში გადამოწმება შესაძლებელი იყო იმისა, რომ განახლებული ლიტერატურა უკვე იყო ასახული სილაბუსებში. გათვალისწინებულ იქნა რეკომენდაცია ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის სასწავლო გეგმაში შეტანის შესახებ, სილაბუსი მომზადებულ იქნა და გაიგზავნა კიდეც ცენტრში. რაც შეეხებოდა მიკრო და მაკრო ეკონომიკას, მნიშვნელოვანი იყო სტუდენტთა შეფასება, რომელიც გროვდებოდა ყოველი სემესტრის ბოლოს და არასოდეს გამოვლენილა ის, რომ სტუდენტები თვლიდნენ რომ რთული იყო სასწავლო კურსი ან პრობლემა ჰქონდათ მის დაძლევასთან დაკავშირებით, ამიტომაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ პროგრამაში ეს საგნები დარჩენილიყო. რაც შეეხებოდა სათაურის და შინაარსის შესაბამისობას აღსანიშნავი იყო, რომ ეს არ იყო შესავალი კურსები, ამიტომაც ამ კუთხით შესაბამისობა არსებობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდირებული იყო, კურსს „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის" სილაბუსს მოეცვა დისპერსიული ანალიზი, რეგრესია და რეგრესიული ანალიზი, დროითი მწკრივების ანალიზი და პროგნოზირება. ამ კუთხით სილაბუსი არ შეცვლილა, რადგან მეექვსე კვირაში შედიოდა დისპერსიული

ანალიზი, მეთერთმეტე კვირაში დროითი მწკრივების ანალიზი და სხვა. ცვლილება განხორციელდა იმ თვალსაზრისით, რომ მსხვილი თავები ჩაიშალა თემებად. რაც შეეხებოდა ფინანსების თეორიას, დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გამოსწორდა. წინაპირობებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ რეკომენდირებულ იყო შესავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში არ ყოფილიყო შესავალი. თავდაპირველად ეს ასეც იყო, თუმცა პედაგოგის მოთხოვნით მოხდა კალკულუსის დამატება წინაპირობად, თუმცა გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია და მოიხსნა კურსზე წინაპირობა. ასევე, მმართველობით აღრიცხვას შეეცვალა წნაპირობა და წინაპირობად დადგინდა შესავალი ბუღალტრულ აღრიცხვაში. რაც შეეხებოდა სადაზღვევო საქმეს, დაბეგვრას და გადასახადებს, დაფიქსრიდა ტექნიკური ხარვეზი, ექსპერტები მიუთითებდნენ რომ მაკროეკონომიკა წინაპირობიდან ამოღებულიყო, თუმცა რეალურად კურსზე ისედაც არ იყო წინაპირობად გათვალისწინებული.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მას ჰქონდა რამოდენიმე რჩევა. საუნივერსტეტო სავალდებულო კურსში ,,კომპიუტერული უნარები" ,ისწავლებოდა Word, Powerpoint, Excel და შემდგომ არჩევითში ცალკე კურსშიც ,,ინფორმაციის დამუშავების კომპიუტერული ტექნოლოგიები " ისწავლებოდა Excel-ის ძირითადი ცხრილები და ა.შ. მისი აზრით ფინანსების მიმართულებაზე მეტად უნდა გაძლიერებულიყო Excel-ის სწავლება, რათა ამ კუთხით ამ პროგრამის სტუდენტებს მეტი კომპეტენციები გამოემუშავებინათ, ამიტომაც არჩევითობა ამ შემთხვევაში არ იყო გამართლებული. საგანში ,,მოლაპარაკების მეთოდები" უნდა გადახედლიყო შინაარსი და აქცენტი გაკეთებულიყო ბიზნეს მოლაპარაკებებზე. საგანში "ფინანსების თეორია" გარდა ტექნიკური შეცდომისა შინაარსიც დასაფიქრებელი იყო, რადგან ბიზნესის მიმართულებაზე და ფინანსებზე იყო აქცენტი. უმჯობესი იქნებოდა აქცენტირება ფინანსურ მენეჯმენტზე, რაც უფრო მეტად იქნებოდა ორიენტირებული ბიზნესზე. სასურველი იყო მეტი პრაქტიკის შეტანა სწავლების პროცესში. დასალაგებელი იყო პროგრამაში საგნებზე დაშვების წინაპირობები.ამასთანავე, ფინანსების მენეჯმენტში და მენეჯერულ ფინანსებში (კორპორატიულ ფინანსებში) შინაარსი ფაქტიურად ემთხვეოდა ერთმანეთს, ამიტომაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ერთ საგნად დატოვება და კრედიტების გადანაწილება. გასაკვირი იყო, რომ ამ ორ საგანს სხვადასხვა დაშვების წინაპირობა ჰქონდა. ერთერთს კი საერთოდ მენეჯმენტის საფუძვლებიც კი ჰქონდა. ამასთანავე, ფინანსების სწავლებაში უნდა გაძლიერებულიყო პროექტების ფინანსური შეფასების კომპონენტი. ასევე შესაძლებელი იყო წინაპირობებთან დაკავშირებით უამრავი სხვა მაგალითის მოყვანა: კორპორატიულ ფინანსებში დაშვების წინა პირობა - მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, კალკულუსი 2, ფინანსების თეორიაინვესტიციების - ინვესტიციების თეორია წინაპირობა კალკულუსი 2 და ა.შ.რბილად რომ ვთქვათ კურუკულუმში საგნების არჩევითობის და დაშვების წინაპირობების ლოგიკა გადასახედია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი ქეისები იყო პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მან ნახა რომ ისწავლებოდა ევროკავშირის საგადასახადო სისტემა, თუმცა საქართველოს პროდუქციის გასაღების ბაზრიდან გამომდინარე ანალოგიურად საჭირო იყო აქცენტირება თურქეთზე, რუსეთზე, არაბეთის ქვეყნებზე, ამერიკის შეერთებულ შტატებზე და ა.შ, რათა სტუდენტი მხოლოდ ევროკავშირის შესახებ ცოდნით არ ყოფილიყო შემოფარგლული.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს რჩევებისათვის და ევროკავშირის საგადასახადო სისტემის შესახებ განაცხადა, რომ 2 წლის წინ

დაწესებულება ჩართული იყო "ვიშეგარდის" პროექტში, რომლის პირდაპირი მოთხოვნაც იყო ყველა ფაკულტეტზე ამ საგნის სწავლება მინიმუმ 6 კრედიტის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ რადგან პროექტი უკვე დასრულებული იყო დაწესებულებას შეეძლო ცვლილება მარტივად განეხორციელებინა სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ცვლილება განხორციელდებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტი ამბობდა რომ კალკულუსი მოცემული იყო 4 კრედიტით, რაც რეალურად სწორი არ იყო, რადგან კალკულუსი ისწავლებოდა ორ ნაწილად და მოიცავდა 8 კრედიტს. რაც შეეხებოდა პრეკალკულუსს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ აღდგებოდა ძველი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სტუდენტები, რომლებსაც ამ კუთხით დახმარება სჭირდებოდათ მეცადინეობდნენ კრედიტებს მიღმა. ანალოგიური გაგრძელდებოდა, თუმცა ეს მოხდებოდა სასწავლო პროცესის დაწყებამდე, წინმსწრები კურსის სახით, მოხდებოდა ტესტირება და დადგინდებოდა სტუდენტების საჭიროებები ან გადაიხედბოდა სტუდენტთა ქულები მათემატიკაში ეროვნული გამოცდების შედეგად. ამისათვის გეგმა უკვე მომზადებული იყო, სილაბუსი იყო მზად და იყო გამოგზავნილი.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ იკითხა, განიხილებოდა თუ არა, რომ პროგრამაზე მიღებულიყვნენ მხოლოდ მათემატიკა ჩაბარებული სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვითარება იყო შემდეგი, ყოველთვის როდესაც პროგრამა მიღებას აცხადებდა ივსებოდა ყველა ადგილი, ერთადერთი შემთხვევის გარდა, გასულ წელს, როდესაც 13000 აბიტურიენტი ჩაიჭრა და ზოგადად შემცირდა კონტიგენტი. მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომ მომხდარიყო გამოცხადებულ ადგილებზე კვოტების გადახედვა საგნების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ გეოგრაფიის ჩაბარება, მაგალითად პრობლემა არ იქნებოდა ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებაზე, თუმცა ფინანსებზე ალბათ შედარებისათვის ფიზიკა ჩაბარებული სტუდენტის მიღება აჯობებდა, რომელსაც პოტენციურად მათემატიკა ჩაბარებული სტუდენტისთვისაც კი შეიძლებოდა ეჯობნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წელს გამოცხადებული იყო 65 ადგილი პროგრამაზე და 2 ჯგუფზე მეტი პროგრამას არასოდეს ჰყოლია.

20:20 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 20:30 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3[1] პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27[6] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაცია ენიჭებოდა 6 თვიანი მონიტორინგის პირობით, რაც იმას გულისხმობდა, რომ ცენტრს 6 თვის განმავლობაში მონიტორინგის გზით უნდა გადაემოწმებინა საბჭოს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწეული რეკომენდაციების გათვალისწინება.

20: 35 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ლევან გორდეზიანი

მდივანი
ნინო ჩანადირი